საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

კატალოგი

ბათუმი

2024

სარჩევი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია 3
ბსუ-ს მისია და მიზნები 4
რატომ ბსუ 8
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.....9
საფინანსო სერვისები.....9
სატყეო საქმე.....11
მებაღეობა.....13
საბიბლიოთეკო საქმე.....15
ბუღალტრული აღრიცხვა 17
საექთნო განათლება 19
აღმზრდელი 21
პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები 23
ტყის მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა 23
ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება 24
მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა 26
პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი 27
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება.....28
ბსუ-ს პარტნიორები 29
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა დამატება/განხორციელებას
ბსუ 2025 წლიდან გეგმავს.....30
სტუდენტური ცხოვრება.....31



საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩვენი ქვეყნის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი ცენტრია.

უნივერსიტეტი განთავსებულია ისტორიულ შენობაში, რომელსაც დაარსების დღიდან, მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან, როცა აქ ვაჟთა გიმნაზია გაიხსნა, ყოველთვის ჰქონდა საგანმანათლებლო კერის ფუნქცია. 1935 წელს, ქართული საზოგადოების განსაკუთრებული ზრუნვის შედეგად, ბათუმში გაიხსნა ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი, რომელიც მალე გადაკეთდა ოთხწლიან სასწავლებლად. 1938 წელს ინსტიტუტს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელი, 1945 წლის ივნისში - პედაგოგიური ინსტიტუტის სტატუსი. 1990 წელს პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი შეიქმნა, რასაც დიდი სახელმწიფოებრივი და ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. რეალობად იქცა დიდი ივანე ჯავახიშვილის ოცნება: *„საქართველოში თუ იქნება მეორე უნივერსიტეტი, ის ბათუმში უნდა გაიხსნას“.*

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება, ჩამოყალიბდეს ძლიერ საგანმანათლებლო-კვლევით ცენტრად და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

უნივერსიტეტი ახორციელებს პროფესიულ და აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს, ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს, რომელთა მიზანია ჩვენი ქვეყნის მდგრადი განვითარება, მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობა, ეკოლოგიური უსაფრთხოება და ეკონომიკური ძლიერება, ასევე ლიბერალური ღირებულებებისა და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება.

უნივერსიტეტი აცნობიერებს თავის განსაკუთრებულ მნიშვნელობას რეგიონის განვითარებაში და პრიორიტეტად მიაჩნია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურის კვლევები, შავი ზღვის ბიოლოგიისა და ეკოლოგიის შესწავლა, ფიტოპათოლოგიური კვლევები, ასევე აგრარული მიმართულებისა და ტურიზმის განვითარება.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ევროპული უნივერსიტეტების დიდი ქარტიის ფუნდამენტური პრინციპების ერთგულია, მისი უმთავრესი ღირებულებებია: ჰუმანიზმი, ღიაობა, ანგარიშვალდებულება, პიროვნული პოტენციალის სრულყოფილი რეალიზებისთვის ხელშეწყობა, ინტერდისციპლინური და ინტერკულტურული სამეცნიერო კვლევების, სწავლებისა და მართვის პროცესის დინამიკური განვითარება.

მიზნები

- უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი სოციალური როლი უნდა შეასრულოს რეგიონისა და ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში;
- უნივერსიტეტში მიღებული განათლება უნდა იყოს თანამედროვე სტანდარტების, მაღალი აკადემიური ხარისხის და დასაქმებაზე ორიენტირებული;
- უნივერსიტეტში განხორციელებული კვლევა უნდა იყოს ღირებული, ფუნდამენტური და პრაქტიკული მნიშვნელობის;
- ინტერნაციონალიზაცია უნდა მოიცავდეს სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებს;
- დამსაქმებელს, სტუდენტს, პროფესორ-მასწავლებელსა და მკვლევარს შორის ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს ერთმანეთის მხარდაჭერას, ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას; უნივერსიტეტს უნდა ჰყავდეს სტრატეგიული პარტნიორები, როგორც აკადემიურ, ისე სხვა სფეროებში.
- უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა უნდა ვითარდებოდეს სწავლის, სწავლების, კვლევისა და სტუდენტური ცხოვრების მოთხოვნების შესაბამისად.
- აკადემიური და ადმინისტრაციული მართვის პროცესები უნდა იყოს კარგად ორგანიზებული და ეფექტური.

პროფესიული განათლება საქართველოს მთავრობის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობად განიხილება. პროფესიული განათლება ერთის მხრივ, უზრუნველყოფს შრომის ბაზარს კვალიფიციური კადრებით, ხოლო მეორეს მხრივ, ის ხელს უწყობს ახალგაზრდებისა და ზრდასრულების დასაქმებას და კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცნობიერებს საკუთარ როლს ამ კონტექსტში, ამიტომაც საკუთარი მისიიდან და სტრატეგიული განვითარების გეგმიდან გამომდინარე, ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებს სხვადასხვა მიმართულებით.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს 2011 წლიდან ახორციელებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მოქნილი და ეფექტიანი სისტემის შექმნის მიზნით, ბსუ-ში 2018 წლის 5 ოქტომბერს, წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიქმნა ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“. ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს შემდეგი მიმართულებებით:

- **ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვა;**
- **უწყვეტი განათლება;**

2021 წლის გაზაფხულიდან ცენტრი ქ. ბათუმში, ლეონიძის ქ. №15-ში მდებარე ახალ, თანამედროვე სასწავლო აუდიტორიებითა და ლაბორატორიებით აღჭურვილ სასწავლო კორპუსში განთავსდა. დღეისათვის უნივერსიტეტში 7 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება.

რატომ ბსუ?

- უნივერსიტეტის მზარდი ცნობადობა და ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება;
- პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული მაღალი დარგობრივი კომპეტენციების მქონე პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი;
- თანამშრომლობა დამსაქმებლებთან და/ან პროფესიულ ასოციაციებთან;
- თანამედროვე მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ადაპტირებული გარემო, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისადმი საზოგადოების ინტერესის ზრდა;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი;
- სახელმწიფო დაფინანსება.



საფინანსო სერვისები

- **დონე:** მე-3;
- **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
- **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია** მოამზადოს კვალიფიციური საფინანსო სერვისების პერსონალი, რომელიც შეძლებს სხვადასხვა ტიპის საფინანსო მომსახურების გაწევასა და მომხმარებლის საფინანსო სერვისებთან დაკავშირებულ ინფორმირებას. ასევე, საფინანსო სერვისების პროგრამის დანერგვა-განხორციელების ხელშეწყობა.
- **დაშვების წინაპირობა** - საბაზო განათლება, არანაკლებ 17 წელი
- **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები** - საფინანსო სერვისებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს სხვადასხვა სავაჭრო ობიექტების მოლარედ, მათ შორის - ბილეთების გაყიდვების სალაროებში; ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებებში მოლარისა და ოპერატორის პოზიციაზე, ასევე ნივთების დაგირავებითა და ფულადი თანხების გაცემით დაკავებული აგენტებისა და ბუკმეკერების პოზიციებზე.

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები

- საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აერთიანებს 6 ზოგად მოდულს ჯამური 17 კრედიტის ოდენობით, 13 პროფესიულ მოდულს ჯამური 35 კრედიტის ოდენობით. საბიბლიოთეკო საქმეში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს 52 კრედიტი.
- პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 8 სასწავლო თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 11 სასწავლო თვე. (დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: https://bsu.edu.ge/sub-54/program/1/index.html).

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

- აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება სავაჭრო ობიექტებში;
- აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება საბანკო დაწესებულებებში;
- განახორციელოს სალარო და საბანკო ოპერაციები;
- შესთავაზოს კლიენტებს საბანკო პროდუქტები;
- ეფექტურად მოემსახუროს კლიენტებს.

სატყეო საქმე

- **დონე:** მე-4
- **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში / Secondary Vocational Qualification in Forestry
- **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია** შესაბამისი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კვალიფიციური სატყეო საქმის სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების უსაფრთხოდ განხორციელებას. კერძოდ, ხე-ტყის დამზადებას, დახარისხებას, ტყის აღდგენის ღონისძიებებს (თესლის შეგროვება, თესვა, დარგვა, სანერგის მოწყობა და სხვა), უზრუნველყოფს ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვასა და მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გატარებას.
- **დაშვების წინაპირობა** - სრული ზოგადი განათლება.
- **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები** - სატყეო საქმეში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს მენახშირედ, ხე-ტყის დამამზადებლად, მეტყევედ, ხის მჭრელად, ხე-ტყის კრეისერად, ტყის მუშად სახელმწიფო სტრუქტურებში, ასევე, წვრილ, საშუალო და მსხვილ ბიზნეს ორგანიზაციებში (ლიცენზიის მფლობელები).

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები

- სატყეო საქმეში მეოთხე დონის კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამში 48 კრედიტი, რომელთაგან 15 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 33 კრედიტი - პროფესიული მოდულები. სწავლების ხანგრძლივობა 10 სასწავლო თვე;
- მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის. მათთვის პროგრამის მოცულობა შეადგენს 78 კრედიტს. სწავლების ხანგრძლივობაა 15 სასწავლო თვე. (დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: https://bsu.edu.ge/sub-54/program/1/index.html)

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს:

- სატყეო სამუშაოს ჩატარებისთვის ლოკაციის მომზადებას;
- მერქნული რესურსით სარგებლობას;
- ხე-ტყის დამზადებასა და დახარისხებას;
- დამზადებული ხე-ტყის ტრანსპორტირების უზრუნველყოფას;
- ტყის მერქნიან სახეობათა თესლების წარმოებას;
- ტყის აღდგენის ღონისძიებების გატარებას;
- ტყის დაცვას ხანძრებისა და მავნებლებისაგან;
- ტყის არამერქნული რესურსის დამზადებას.

მებაღეობა

- **დონე:** მე-4
- **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში / Secondary Vocational Qualification in Horticulture
- **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია** მებაღეობის სფეროსთვის კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ნიადაგის დამუშავებას, ღია და დახურულ გრუნტში მცენარეების დარგვასა და მოვლას, დეკორატიული მცენარეების გამრავლებას და სხვლა-ფორმირებას, ბაღის სხვადასხვა მხატვრული ელემენტებით მოწყობის დაგეგმვასა და განხორციელებას.
- **დაშვების წინაპირობა** - სრული ზოგადი განათლება.
- **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები** - მებაღეობაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ბოტანიკურ ბაღში, ქალაქის გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახურში, პარკებში, სკვერებში, დეკორატიული მცენარეების სანერგე მეურნეობებში, დახურული გრუნტისა და სასათბურე მეურნეობაში, სამშენებლო კომპანიაში, დიზაინერული პროფილის ოფისებში.

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები

- მებაღეობაში მეოთხე დონის კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამში 85 კრედიტი, რომელთაგან 12 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 23 კრედიტი - პროფესიული მოდულები, 50 კრედიტი ,,მებაღეობის“ კონცენტრაციის მოდულები. სწავლების ხანგრძლივობა 15 სასწავლო თვე.
- მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა არაქართულენოვანი პროფესიული

  სტუდენტებისათვის. მათთვის პროგრამის

  მოცულობა შეადგენს 115 კრედიტს.

  სწავლების ხანგრძლივობაა 20 სასწავლო თვე. (დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: https://bsu.edu.ge/sub-54/program/1/index.html)

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს:

ნიადაგის დამუშავებას;

- ღია და დახურულ გრუნტში მცენარეების დარგვასა და მოვლას;
- დეკორატიული მცენარეების გენერაციული, ვეგეტატიური და ქსენოვეგეტატიური გზით გამრავლებას;
- დეკორატიული ხეების, ხეხილის, დეკორატიული ბუჩქების, კენკროვანი ბუჩქების, ხვიარა მცენარეების, ვარდების სხვლა-ფორმირებას;
- გაზონის, სარწყავი სისტემის, წყლის სარკეების, ბილიკის, კიბის, მოედნის მოწყობას;
- ბაღის სხვადასხვა მხატვრული ელემენტებით (ყვავილნარი, ალპინარიუმი, როკარიუმი) მოწყობის დაგეგმვასა და განხორციელებას

საბიბლიოთეკო საქმე

- **დონე:** მე-4;
- **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საბიბლიოთეკო საქმეში
- **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია** პირს მისცეს შესაძლებლობა, მიიღოს ფართო განათლება და ძირითადი ცოდნა საბიბლიოთეკო სფეროში; აგრეთვე, განუვითაროს ის აუცილებელი უნარები და კომპეტენციები, რომლებიც საჭიროა როგორც შრომის ბაზარზე გასასვლელად, ასევე სწავლის გასაგრძელებლად, როგორც ფორმალურ, ისე, არაფორმალურ საგანმანათლებლო სისტემებში.
- **დაშვების წინაპირობა** - სრული ზოგადი განათლება
- **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები** - კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის ბიბლიოთეკებში, ქალაქის, სოფლის, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციების ბიბლიოთეკაში.

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები

- საბიბლიოთეკო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აერთიანებს 5 ზოგად მოდულს ჯამური 15 კრედიტის ოდენობით, 10 პროფესიულ მოდულს ჯამური 71 კრედიტის ოდენობით და 3 არჩევით მოდულ ჯამური 8 კრედიტის ოდენობით. საბიბლიოთეკო საქმეში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს 94 კრედიტი.
- პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 16 სასწავლო თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 18 სასწავლო თვე. (დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: https://bsu.edu.ge/sub-54/program/1/index.html)

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს:

- ბიბლიოთეკის სივრცის ორგანიზებას;
- ფონდის დაკომპლექტებას;
- ფონდის მართვას;
- ფონდის დაცვას;
- საცნობარო-საინფორმაციო მუშაობას;
- საბიბლიოთეკო მომსახურებას;
- კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებას.

ბუღალტრული აღრიცხვა

- **დონე:** მე-5
- **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
- **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია** მოამზადოს და შრომის ბაზარს შესთავაზოს კვალიფიციური ბუღალტერი, რომელიც შეძლებს მონაწილეობის მიღებას სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაცი-ის/დაწესებულების ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში; ფინანსური, ბუღალტრული ანგარიშებისა და ჩანაწერების შემოწმებასა და ანალიზს, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა დადგენილ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან; განახორციელებს ბუღალტრულ გატარებებს; შეადგენს და დადგენილი წესით წარადგენს საგადასახადო დეკლარაციებს; უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტში; ასევე შეძლებს ფინანსურ ანგარიშგების, პირველად სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსურ დოკუმენტაციის შედგენას გარე და შიდა მომხმარებლებისათვის.
- **დაშვების წინაპირობა** - სრული ზოგადი განათლება.
- **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები** ბუღალტრულ აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს კერძო და საჯარო უწყებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში საბუღალტრო და საფინანსო სამსახურებში, აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიებში მთავარ ბუღალტრად, ბუღალტრის თანაშემწედ/ასისტენტად, ბუღალტერ-მოანგარიშედ. შესაძლებელია თვითდასაქმებაც, კერძო პროფესიული პრაქტიკის განხორციელების გზით.

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები

- პროფესიული პროგრამა მოიცავს 3 ზოგადი მოდულს 11 კრედიტის მოცულობით და 16 პროფესიულ მოდულს 88 კრედიტის მოცულობით. ,,ბუღალტრული აღრიცხვაში“ უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 99 კრედიტი.
- პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 22 სასწავლო თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 27 სასწავლო თვე. (დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: https://bsu.edu.ge/sub-54/program/1/index.html).

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

- შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა;
- შეავსოს და არგუმენტირება გაუკეთოს სამუშაო ფორმებს (სააღრიცხვო დოკუმენტები);
- აწარმოოს ბუღალტრული ოპერაციები;
- შეავსოს და გააგზავნოს დეკლარაციები;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება;
- აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა ეკონომიკური საქმიანობის ზოგიერთი სახეობის მიხედვით;
- აწარმოოს კონტროლი სამეურნეო სუბიექტის საბუღალტრო აღრიცხვაზე;
- აწარმოოს მმართველობითი აღრიცხვა;
- შეასრულოს ეკონომიკური ანალიზი.

საექთნო განათლება



- **დონე:** მე-5
- **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში;
- **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია** ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთნის მომზადება;
- **დაშვების წინაპირობა** - სრული ზოგადი განათლება;
- **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები** - საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში, შინმოვლის სფეროში, სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურებას.

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები

- საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 180 კრედიტის რაოდენობის ზოგად და პროფესიულ მოდულებს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს როგორც თეორიულ და პრაქტიკულ, ასევე კლინიკური სწავლების კომპონენტსაც. მოდულები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:
  - ზოგადი მოდულები - 9 კრედიტი;
  - თეორიული სწავლება საბაზო მეცნიერებები - 24 კრედიტი;
  - თეორიული სწავლება საექთნო საქმე - 45 კრედიტი;
  - თეორიული სწავლება სოციალური მეცნიერებები - 6 კრედიტი;
  - პრაქტიკული სწავლება - 6 კრედიტი;
  - კლინიკური სწავლება - 90 კრედიტი;

- პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 31 სასწავლო თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 37 სასწავლო თვე (დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: https://bsu.edu.ge/sub-54/program/1/index.html).

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთვრებული შეძლებს:

1. შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა;
2. განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
3. განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
4. განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
5. განახორციელოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
6. განახორციელოს პერიოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა;
7. განახორციელოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
8. განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
9. განახორციელოს და უზრუნველყოს შინმოვლის მომსახურების გაწევა;
10. განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
11. დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისა და მოვლის ხარისხის შეფასება.

აღმზრდელი

- **დონე:** მე-5
- **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
- **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია** მოამზადოს კვალიფიციური კადრი, რომელიც შეძლებს ადრეულ და სკოლამდელ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას და განვითარებას. ამ მიზნებისთვის აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;
- **დაშვების წინაპირობა** - სრული ზოგადი განათლება;
- **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები** - აღმზრდელის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს აღმზრდელის პოზიციაზე, ადრეული და სკოლამდელი აღზრდის საგნამნათლებლო დაწესებულებებში, ასევე იმუშაოს თვითდასაქმებით, აღმზრდელად.

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები

- აღმზრდელის მეხუთე დონის კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამში 116, რომელთაგან 11 კრედიტი - არის ზოგადი სავალდებულო მოდულები, ხოლო 105 კრედიტი არის სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულები.პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 31 სასწავლო თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 37 სასწავლო თვე;
- პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 24 სასწავლო თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 29 სასწავლო თვე (დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: https://bsu.edu.ge/sub-54/program/1/index.html).

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

- ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა;
- ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება;
- წარმატებული, უსაფრთხო, მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა.

ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა

- **დონე: მე-3**
- **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია** შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით მოამზადოს კონკრეტული ცოდნისა და უნარების მქონე კადრი, რომელსაც შეეძლება: საქართველოს ტყის შემქმნელი ძირითადი წიწვოვანი და ფოთლოვანი სახეობების დახასიათება და საქართველოს „წითელი ნუსხის“ დანიშნულების განმარტება, ტყის არამერქნული რესურსების მოპოვების წესების და მეთოდების აღწერა, სამუშაოს ორგანიზება და ტყის არამერქნული რესურსის მოპოვება.
- **დაშვების წინაპირობა** - სრული ზოგადი განათლება;
- **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები** - სატყეო სააგენტოები, ტყის დაცვის, აღდგენისა და ექსპლუატაციის სამსახურები, დაცული ტერიტორიების სააგენტოები, ბოტანიკური ბაღები, გამწვანების სამსახურები, ტყეპარკები და დენდროლოგიური პარკები.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

- საქართველოს ტყის შემქმნელი ძირითადი წიწვოვანი სახეობების დახასიათება;
- საქართველოს ტყის შემქმნელი ძირითადი ფოთლოვანი სახეობების დახასიათება;
- საქართველოს „წითელი ნუსხის“ დანიშნულების განმარტება;
- ტყის არამერქნული რესურსების მოპოვების წესებისა და მეთოდების აღწერა;
- სამუშაოს ორგანიზება;
- ტყის არამერქნული რესურსების მოპოვება.

ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

- **დონე:** მე-5
- **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია** ლაბორატორიული მომსახურების დარგის ახალგაზრდა პროფესიონალთა კომპეტენციების გაძლიერებისა და დასაქმების ხელშეწყობა ლაბორატორიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში უწყვეტი პროფესიული განათლების განვითარების გზით. პროგრამის ძირითადი ამოცანაა გადაამზადოს ლაბორატორიული სფეროს სპეციალისტები ადამიანისა და გარემოს უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვის მიმართულებით კომპეტენციებისა და ცოდნის გაძლიერების გზით ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
- **დაშვების წინაპირობა** -ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს საბუნებისმეტყველო, სიცოცხლის შემსწავლელი, გამოყენებითი ბიომეცნიერების, ბიოტექნოლოგიის, გარემოს დაცვის, აგრარული, სოფლის მეურნეობის, მედიცინის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფარმაციის, ფარმაკოლოგიის მიმართულებებით ან/და ლაბორატორიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ პროფესიულ კვალიფიკაციას (შემდეგი მიმართულებით: ნივთიერებებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტი; ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტი; ქიმიური და კვების მრეწველობის უსაფრთხოების სპეციალისტი; ქიმიური წარმოების სპეციალისტი; ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი; სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორი; ფარმაცია და ფარმაციის თანაშემწე; ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი). აპლიკანტი ჩამოთვლილი აკადემიური ხარისხიდან/პროფესიული კვალიფიკაციიდან უნდა ფლობდეს ერთ-ერთს.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

- ბიოლოგიური, ქიმიური, ფიზიკურ/რადიოლოგიური საფრთხეების, შესაბამისი რისკების განსაზღვრის, შეფასების და მართვის პრინციპების ცოდნა;
- სპეციფიკურ გარემოში ლაბორატორიაში უსაფრთხოების წესების დაცვით მუშაობა;
- საფრთხის შემცველი მასალის შეფუთვა და ტრანსპორტირება, ნარჩენების მართვა და დეკონტამინაცია;
- გადაუდებელ შემთხვევებში (ადამიანური ფაქტორით გამოწვეული ან ბუნებრივი კატასტროფები/უბედური შემთხვევები; ტექნიკური გაუმართაობა) შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა

- **დონე:** მე-4;
- **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია** მცენარეთა დაცვის სფეროსთვის შესაბამისი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა, რომელიც აცნობიერებს მცენარეთა დაცვის სფეროში არსებული საერთაშორისო, ეროვნული კანონმდებლობის და რეგლამენტების მოთხოვნებს, შეუძლია მცენარეთა დაცვის მეთოდებისა და საშუალებების შერჩევა - გამოყენება უსაფრთხოების წესების დაცვით, უზრუნველყოფს ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებების განხორციელებას აჭარის რეგიონში გავრცელებული ძირითადი სასოფლო - სამეურნეო კულტურებისთვის, კერძოდ - სუბტროპიკული, კენკროვანი, კაკლოვანი კულტურები, ასევე ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები და ვაზი;
- **დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება. პრაქტიკული გამოცდილება სოფლის მეურნეობის მიმართულებით: მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 1 წელი; მემცენარეობის დარგში დასაქმებული ფერმერი და/ან აგრონომი და/ან აგრომეწარმე და/ან აგრობიზნესის წარმომადგენელი და/ან აგრარული მიმართულების დამამთავრებელი კურსის სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

- მცენარეთა მავნე ორგანიზმების ჯგუფების იდენტიფიცირება;
- მცენარეთა დაცვის მეთოდებისა და საშუალებების შერჩევა და გამოყენება;
- აჭარის რეგიონში გავრცელებული ძირითადი სასოფლო - სამეურნეო კულტურებისთვის მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებების განხორციელება (სუბტროპიკული, კენკროვანი, კაკლოვანი კულტურები, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები, ვაზი);
- მცენარეთა დაცვის სფეროში არსებული საერთაშორისო, ეროვნული კანონმდებლობისა და რეგლამენტების მიმოხილვა;

პროფესიული სტუნდეტის შეფასების წესი

პროფესიულ სტუდენტს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- სწავლის შედეგი დადასტურდა;
- სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუ-დენტს მსმენელეს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.

ინფორმაცია სტუდენტების მიღების შესახებ

ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პირის ჩარიცხვის პირობები განისაზღვრება პროგრამით, რომელიც ეყრდნობა პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონს, კანონქვემდებარე აქტებს და არსებობის შემთხვევაში, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შერჩევის მექანიზმებს განსაზღვრავს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხოლო უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შერჩევის მექანიზმები განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხ.: https://www.bsu.edu.ge/sub-54/page/2-429/index.html

Bსუ-ს პარტნიორები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა დამატება/განხორციელებას ბსუ 2025 წლიდან გეგმავს

ფარმაცია (სააფთიაქო, V დონე)

ვეტექნოლოგიები (IV დონე) და ვეტექნოლოგიები ინტეგრირებული

სტუდენტური ცხოვრება

სტუდენტური ცხოვრება

საკონტაქტო ინფორმაცია

ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15

(+995) 591 95 76 62; (+995) 577 491 939

vocational@bsu.edu.ge

Bsu.edu.ge

https://www.facebook.com/BSUVocationalPrograms/